

ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ

პარიზი, 13.XII.1957

ქვემოთ ხელმოწერი ევროპის საბჭოს წევრი მთავრობები, ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა.

ითვალისწინებენ რა, რომ ეს მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნას შეთანხმებათა დადებითა და სამართლებრივ საკითხებში თანამშრომლობით;

ითვალისწინებენ რა, რომ ექსტრადიციასთან დაკავშირებული ერთგვაროვანი წესების მიღებამ შეიძლება ხელი შეუწყოს აღნიშნული ერთიანობის მიღწევას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 – მსჯავრდებულ პირთა გადაცემის ვალდებულება

ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, რომ ამ კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებისა და პირობების დაცვით, გადასცემენ ერთმანეთს ყველა პირს, რომლის წინააღმდეგაც თხოვნის გამგზავნი მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ აღძრულია საქმე დანაშაულის ჩადენისათვის ან რომლებიც იძებნებიან ხსენებული კომპეტენტური ორგანოების მიერ მათზე განაჩენის ან დაკავების ორდერის აღსასრულებლად.

მუხლი 2 – დანაშაულები, რომლებიც ექვემდებარებიან ექსტრადიციას

1. ექსტრადიციას ექვემდებარებიან თხოვნის გამგზავნი ან მიმღები მხარის სამართლის მიხედვით თავისუფლების აღკვეთით ან დაკავების ორდერის შესაბამისად მაქსიმუმ ერთი წლით მაინც ან უფრო მკაცრი სასჯელით დასჯადი დანაშაულები. როდესაც თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს გერიგორიაზე გამოგანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი და პირს მიესჯება პატიმრობა ან მის წინააღმდეგ გაცემული იქნება დაკავების ორდერი, გამოგანილი სასჯელი უნდა ითვალისწინებდეს სულ მცირე ოთხი თვით თავისუფლების აღკვეთას.

2. თუ მსჯავრდებული პირის გადაცემის მოთხოვნა შეიცავს რამოდენიმე ცალკეულ დანაშაულს, რომლებიც დასჯადია თხოვნის გამგზავნი და მიმღები მხარეების სამართლის მიხედვით თავისუფლების აღკვეთით ან დაკავების ორდერის შეფარდებით, მაგრამ რამდენიმე დანაშაული არ პასუხობს სასჯელის ზომის მიმართ დადგენილ პირობას, თხოვნის მიმღებ მხარეს აქვს უფლება გადასცეს პირი ამგვარი დანაშაულებისთვისაც.

3. ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარე, რომლის კანონმდებლობით არ არის ნებადართული ექსტრადიცია ამ მუხლის 1ლი პუნქტით განსაზღვრული დანაშაულებისათვის, იმ ზომით, რითაც მას ეხება, გამოორიცხავს ამგვარი დანაშაულების მიმართ ამ კონვენციის გამოყენებას.

4. ყველა ხელშემკვრელ მხარეს, რომელსაც სურს ისარგებლოს ამ მუხლის მე-3 პუნქტში დადგენილი უფლებით, მისი სარატიფიკაციო ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარებისას ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს გადასცემს იმ დანაშაულთა სიას, რომელთა ჩადენის შემთხვევაში დასაშვებია ექსტრადიცია ან იმ დანაშაულთა სიას, რომელთა ჩადენისთვისაც გამოორიცხება ექსტრადიცია და იმავდროულად მიუთითებს იმ სამართლებრივ დებულებებზე, რომლებიც ნებას რთავენ ან კრძალავენ ექსტრადიციას. საბჭოს გენერალური მდივანის ამ სიებს სხვა ხელმოწერებს.

5. თუკი შემდგომში გამოირიცხება ექსტრადიცია ხელშემკვრელი მხარის სამართლით სხვა დანაშაულების მიმართ, შესაბამისი მხარე ამის თაობაზე შეგყობინებას უგზავნის გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი აცნობებს სხვა ხელმომწერებს. ამგვარი შეგყობინება ძალაში არ შედის გენერალური მდივანის მიერ მისი მიღების თარიღიდან სამთვიანი ვადის გასვლამდე.

6. ნებისმიერ მხარეს, რომელიც ისარგებლებს ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში განსაზღვრული უფლებით, ნებისმიერ დროს შეუძლია გამოიყენოს ეს კონვენცია იმ დანაშაულების მიმართ, რომელთა მიმართაც მისი გამოყენება მანამდე გამოირიცხებოდა. იგი აცნობებს საბჭოს გენერალურ მდივანს ამგვარი ცვლილებების შესახებ, ხოლო გენერალური მდივანი აცნობებს სხვა ხელმომწერებს.

7. ნებისმიერ მხარეს შეუძლია გამოიყენოს ორმხრივობის წესი იმ დანაშაულების მიმართ, რომელთა ჩადენისათვის ექსტრადიცია გამოირიცხება ამ მუხლის შესაბამისად ამ კონვენციის გამოყენებისას.

მუხლი 3 – პოლიტიკური დანაშაულები

1. ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუკი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის გადაცემა, თხოვნის მიმღები მხარის მიერ განიხილება პოლიტიკურ დანაშაულად ან დანაშაულად, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ დანაშაულთან.

2. იგივე წესი გამოიყენება, თუ თხოვნის მიმღებ მხარეს გააჩნია საკმარისი საფუძველი ივარაუდოს, რომ ექსტრადაციის მოთხოვნა ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დანაშაულისათვის გაკეთებულია პირის დევნისა და დასჯის მიზნით მისი რასის, რელიგიის, ეროვნების ან პოლიტიკური მოსაზრების გამო ან იმ მიზნით, რომ ამ პირის მდგომარეობას მიაღგეს რაიმე ბიანი რომელიმე აღნიშნული მიზეზის გამო.

3. სახელმწიფოს მეთაურის ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის ხელყოფა ან სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა არ განიხილება პოლიტიკურ დანაშაულად ამ კონვენციის მიზნებისათვის.

4. ეს მუხლი ზეგავლენას არ მოახდენს ხელშემკვრელი მხარეების რაიმე ვალდებულებებზე, რომლებიც მათ აღებული აქვთ ან შეიძლება აიღონ მრავალმხრივი საერთაშორისო კონვენციებით.

მუხლი 4 – სამხედრო დანაშაულობები

ექსტრადიცია სამხედრო დანაშაულების ჩადენისათვის, რომლებიც არ წარმოადგენენ დანაშაულებს ჩვეულებრივი სისხლის სამართლის მიხედვით, გამოირიცხება ამ კონვენციის გამოყენებისას.

მუხლი 5 - ფისკალური დანაშაულები

ამ კონვენციის დებულებათა შესაბამისად განხორციელდება ექსტრადიცია ბეგარებთან, გადასახადებთან, საბაჟო მოსაკრებლებთან და სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებულ დანაშაულთა ჩადენისათვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი მხარეები ამგვარად გადაწყვეტენ ასეთი დანაშაულის ან დანაშაულთა კატეგორიის მიმართ.

მუხლი 6 – მოქალაქეთა გადაცემა

1. a) ხელშემკვერელ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას თავისი მოქალაქეების გადაცემაზე.

b) თითოეულ მხარეს ხელმოწერის დროს გაკეთებული დეკლარაციის ან მისი სარაგიფიკაციო ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარებისას შეუძლია თავად განსაზღვროს ტერმინ „მოქალაქის“ მნიშვნელობა ამ კონვენციასთან მიმართებით.

c) პირის მოქალაქეობა განისაზღვრება ექსტრადიციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას. ამასთან, თუკი მსჯავრდებული პირი პირველად აღიარებული იქნა თხოვნის მიმღები მხარის მოქალაქედ გადაწყვეტილების მიღებისა და პირის გადაცემამდე დროის შუალედში, თხოვნის მიმღებ მხარეს უფლება აქვს ისარგებლოს ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი დებულებით.

2. თუ თხოვნის მიმღები მხარე არ გადასცემს მის მოქალაქეს, თხოვნის გამგზავნი მხარის თხოვნის არსებობის შემთხვევაში, იგი გადასცემს საქმეს თავისი ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს, რათა დაწყებული იქნას შესაბამისი სამართალწარმოება, იმ შემთხვევებში, რომლებშიც იგი აუცილებლად მიიჩნევა. ამ მიზნით, დანაშაულთან დაკავშირებული დოკუმენტები, ინფორმაცია და ნივთობრივ მტკიცებულებები უფასოდ გადაეცემა შესაბამის მხარეს მე-12 მუხლის 1-ლ პუნქტში განსაზღვრული საშუალებებით. თხოვნის გამგზავნი მხარე ინფორმირებული იქნება მისი თხოვნის შედეგის შესახებ.

მუხლი 7 – დანაშაულის ჩადენის ადგილი

1. თხოვნის მიმღებ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის გადაცემაზე. როდესაც მისი სამართლის მიხედვით მიიჩნევა, რომ დანაშაული ჩადენილია მთლიანად ან ნაწილობრივ მის ტერიტორიაზე ან იმ ადგილას, რომელიც განიხილება მის ტერიტორიად.

2. როდესაც დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება ექსტრადიცია, ჩადენილია თხოვნის გამგზავნი მხარის ტერიტორიის გარეთ, დანაშაულის გადაცემაზე უარი შეიძლება ითქვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თხოვნის მიმღები მხარის კანონით დაუშვებელია იმავე კატეგორიის სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის დევნა, ან კანონით საერთოდ არ არის დაშვებული ამგვარი დანაშაულისათვის პირის გადაცემა.

მუხლი 8 – ერთსა და იმავე დანაშაულთან დაკავშირებული სამართალწარმოებანი

თხოვნის მიმღებ მხარეს შეუძლია უარი თქვას პირის გადაცემაზე, თუ ამ მხარის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ მიმდინარეობს სამართალწარმოება შესაბამისი პირის წინააღმდეგ იმ დანაშაულის ან დანაშაულების ჩადენისათვის, რისთვისაც მოითხოვება პირის ექსტრადიცია.

მუხლი 9 – Non bis in idem

ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ თხოვნის მიმღები მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულია საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება შესაბამისი პირის მიმართ იმ დანაშაულის ან დანაშაულების ჩადენისათვის, რომლებისთვისაც მოითხოვება ექსტრადიცია. ექსტრადიციამდე შეიძლება უარი ითქვას, თუ გადამცემი მხარის კომპეტენტური ორგანოები გადაწყვეტენ არ დაიწყოთ ან შეწყვიტონ სამართალწარმოება იმავე დანაშაულის ან დანაშაულების წინააღმდეგ.

მუხლი 10 – ხანდაზმულობის ვადა

ლაუშვებელია ექსტრადიცია, თუ მსჯავრდებულმა პირმა, თხოვნის გამგზავნი ან მიმღები მხარის კანონის მიხედვით, შეიძინა იმუნიტეტი ღვენის ან დასჯისაგან ხანდაზმულობის ვადის წესის გათვალისწინებით.

მუხლი 11- სიკვდილით დასჯა

თუკი დანაშაული, რომლის ჩადენისათვისაც მოითხოვება პირის გადაცემა, ისჯება სიკვდილით თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს კანონის მიხედვით და თუ იმავე დანაშაულის ჩადენისათვის თხოვნის მიმღები მხარის კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული სიკვდილით დასჯა ან, როგორც წესი, იგი სისრულეში არ მოიყვანება, შეიძლება ექსტრადიციაზე უარის თქმა, თუ თხოვნის მიმღები მხარის თხოვნის საფუძველზე, თხოვნის გამგზავნი მხარე ვერ წარმოადგენს საკმარის გარანტიებს იმისა, რომ სასიკვდილო განაჩენი არ იქნება სისრულეში მოყვანილი.

მუხლი 12 – თხოვნა და თანდართული დოკუმენტები

1. თხოვნა უნდა იყოს შედგენილი წერილობითი ფორმით და მისი გადაცემა უნდა მოხდეს დიპლომატიური არხით. კომუნიკაციის სხვაგვარი საშუალებები შეიძლება გამოყენებულ იქნას ორ ან მეტ მხარეს შორის პირდაპირი შეთანხმების საფუძველზე.

2. თხოვნას თან უნდა ერთვოდეს:

a) დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გამამტყუნებელი სასამართლო გადაწყვეტილების და განაჩენის ორიგინალი ან დამოწმებული ასლი, ან თხოვნის გამგზავნი მხარის კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად გაცემული დაპატიმრების ორდერი ან იმავე ძალის მქონე სხვაგვარი ორდერი;

b) იმ ჩადენილი დანაშაულის მითითება, რომლისთვისაც მოითხოვება პირის გადაცემა. მონაცემები მათი ჩადენის ადგილისა და დროის შესახებ, დანაშაულების სამართლებრივი აღწერა და მიმართება კანონის შესაბამის დებულებებთან უნდა იყოს მოცემული რაც შეიძლება ზუსტად; და

c) შესაბამისი კანონის ასლი, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, შესაბამისი კანონის მითითება და ბრალდებული პირის მაქსიმალურად ზუსტი აღწერა, ნებისმიერ სხვა ინფორმაციასთან ერთად, რომელიც დახმარებას გაუწევს მხარეს მსჯავრდებულის პიროვნებისა და მოქალაქეობის დადგენაში.

მუხლი 13 – დამატებითი ინფორმაცია

თუ თხოვნის გამგზავნი მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არასაკმარისი აღმოჩნდება თხოვნის მიმღები მხარისათვის ამ კონვენციის შესაბამისად გადაწყვეტილების მისაღებად, ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს აუცილებელი დამატებითი ინფორმაცია და დააწესოს გარკვეული ვადა მის მიღებაზე.

მუხლი 14 – სპეციალობის წესი

1. იმ პირის წინააღმდეგ, რომლის გადაცემაც მოხდა, არ აღიძვრება სამართალწარმოება, არ მიესჯება პატიმრობა ან დაკავლება მის მიერ მის გადაცემამდე

ჩადენილი რაიმე სხვა დანაშაულის გამო, იმის გარდა, რომლის ჩადენისთვისაც იგი იქნა გადაცემული; ასევე არ იქნება შეზღუდული მისი პიროვნული თავისუფლება რაიმე სხვა მიზეზის გამო, შემდეგი შემთხვევების გარდა:

a) როდესაც მსჯავრდებული პირის გადამცემი მხარე ამაზე თანახმაა. თხოვნა, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს მე -12 მუხლში მოხსენიებული დოკუმენტები და ჩადენილი დანაშაულის შესახებ გადაცემული პირის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადების ჩანაწერი, გადაეცემა შესაბამის მხარეს. თანხმობა გაიცემა, თუ დანაშაული, რომლისთვისაც მოითხოვება გადაცემა, ექვემდებარება ექსტრადიციას ამ კონვენციის დებულებების შესაბამისად;

b) როდესაც პირი, რომელსაც ჰქონდა შესაძლებლობა დაეცოდა იმ მხარის ტერიტორიაზე, რომელსაც იგი გადასცემს, მაგრამ არ დაგოვა იგი მისი საბოლოო გათავისუფლებიდან 45 დღის განმავლობაში, ან დაბრუნდა ამ ტერიტორიაზე მისი დაგოვების შემდეგ.

2. ამასთან, თხოვნის გამგზავნ მხარეს შეუძლია მიიღოს აუცილებელი ზომები შესაბამისი პირის მისი ტერიტორიიდან გასაყვანად ან ნებისმიერი სხვა ზომა სამართალწარმოების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მისი კანონმდებლობის შესაბამისად ხანდაზმულობის ვადის შედეგების თავიდან ასაცილებლად.

3. თუ ჩადენილი დანაშაულის აღწერა შეიცვლება მიმდინარე სამართალწარმოების დროს, დასაშვებია გადაცემული პირის წინააღმდეგ სამართალწარმოება ან განაჩენის გამოგანა დანაშაულის ახალი აღწერისა და მისი შემადგენელი ელემენტების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევა წარმოადგენს ისეთ დანაშაულს, რომელიც ექვემდებარება ექსტრადიციას.

მუხლი 15 – მესამე სახელმწიფოსათვის გადაცემა

მე-14 მუხლის 1.ბ პუნქტით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, თხოვნის გამგზავნი მხარე თხოვნის მიმღები მხარის თანხმობის გარეშე, არ გადასცემს სხვა მხარეს ან მესამე სახელმწიფოს მისთვის გადაცემულ იმ პირს, რომელიც იძებნებოდა ხსენებული სხვა მხარის ან მესამე სახელმწიფოს მიერ ამ პირის მიერ მის გადაცემაზე ჩადენილი დანაშაულების გამო. თხოვნის მიმღებ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების მიწოდება.

მუხლი 16 – წინასწარი დაპატიმრება

1. გადაუდებელ შემთხვევაში, თხოვნის გამგზავნი მხარის კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ ძებნილი პირის წინასწარი დაპატიმრება. გადამცემი მხარის კომპეტენტური ორგანოები გადაწყვეტენ ამ საკითხს მათი კანონის შესაბამისად.

2. თხოვნა წინასწარი დაპატიმრების შესახებ, უნდა აცხადებდეს, რომ მე-12 მუხლის 2.ა პუნქტში მოხსენიებული დოკუმენტებიდან ერთ-ერთი არსებობს და იგი აპირებს გამოაგზავნოს თხოვნა ექსტრადიციის შესახებ. იგი ასევე უნდა აცხადებდეს, თუ რა დანაშაულისათვის მოითხოვება ექსტრადიცია, სად და როდის იქნა ჩადენილი ეს დანაშაული და მაქსიმალურად იძლეოდეს ძებნილი პირის აღწერას.

3. თხოვნა წინასწარი დაპატიმრების შესახებ უნდა გაეგზავნოს თხოვნის მიმღები მხარის ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს დიპლომატიური არხით, ან პირდაპირ ფოსტით ან ტელეგრაფით ან საერთაშორისო სისხლის სამართლის პოლიციის (Interpol) მეშვეობით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა თხოვნის მიღებაზე წერილობითი დასტურის ან თხოვნის გამგზავნი მხარისათვის მისაღებ სხვაგვარი

დასტურის საშუალებას. თხოვნის გამგზავნი მხარისათვის მისაღები სხვაგვარი დასტურის საშუალებას. თხოვნის გამგზავნი ხელისუფლების ორგანო დაუყოვნებლივ იქნება ინფორმირებული მისი თხოვნის შედეგების შესახებ.

4. წინასწარი პატიმრობა შეიძლება შეწყდეს დაპატიმრებიდან 18 დღის ვადაში, თუკი თხოვნის მიმღები მხარე არ მიიღებს თხოვნას ექსტრადიციის შესახებ და მე-12 მუხლში მოხსენებულ დოკუმენტებს. წინასწარი პატიმრობა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გადასცდეს 40 დღეს ამგვარი დაპატიმრების თარიღიდან. არ გამოირიცხება წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შესაძლებლობა ნებისმიერ დროს, თუმცა თხოვნის მიმღებმა მხარემ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს, ძებნილი პირის გაქცევის თავიდან ასაცილებლად.

5. გათავისუფლება ხელს არ შეუშლის ხელახლა დაპატიმრებასა და გადაცემას, თუ თხოვნა ექსტრადიციის თაობაზე მოგვიანებით იქნება მიღებული.

მუხლი 17 – კოლიზური თხოვნები

თუკი პირის გადაცემა მოითხოვება ერთზე მეტი სახელმწიფოს მიერ ერთი და იმავე ან სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის, თხოვნის მიმღები მხარე მიიღებს გადაწყვეტილებას ყველა გარემოების და განსაკუთრებით, დანაშაულის სერიოზულობის და ჩადენის ადგილის, შემოსული თხოვნის შესაბამისი თარიღების, მსჯავრდებული პირის მოქალაქეობის და შემდგომში სხვა სახელმწიფოსათვის მისი გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

მუხლი 18 – მსჯავრდებული პირის გადაცემა

1. მე-12 მუხლის 1-ლ პუნქტში გათვალისწინებული საშუალებებით თხოვნის მიმღები მხარე აცნობებს თხოვნის გამგზავნ მხარეს ექსტრადიციასთან დაკავშირებული მისი გადაწყვეტილების შესახებ.

2. მხარემ უნდა წარმოადგინოს მთლიანი ან ნაწილობრივ უარის მიზეზები.

3. თუ თხოვნა დაკმაყოფილდება, მიმღები მხარე ინფორმირებული იქნება გადაცემის ადგილისა და თარიღის და დროის იმ ხანგრძლივობის შესახებ, რომლის განმავლობაშიც დაკავებული იყო პირი მისი შემდგომში გადაცემის მიზნით.

4. ამ მუხლის მე-5 პუნქტის დებულებების დაცვით, თუკი შესაბამისი პირი არ იქნა გადაცემული დანიშნულ დღეს, იგი შეიძლება გათავისუფლდეს 15 დღიანი ვადის ამოწურვის და ყველა შემთხვევაში გათავისუფლება 30 დღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ. თხოვნის მიმღებ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას პირის იმავე დანაშაულისათვის გადაცემაზე.

5. თუკი გარემოებები, რომლებსაც მხარე ვერ აკონტროლებს, ხელს უშლიან მას პირის გადაცემას ან წაყვანაში, იგი აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ. ორივე მხარე შეათანხმებს გადაცემის ახალ თარიღს და ამასთან, ძალაში იქნება ამ მუხლის მე-4 პუნქტის დებულებები.

მუხლი 19 – გადადებული ან პირობითი გადაცემა

1. თხოვნის მიმღებ მხარეს, ექსტრადიციის შესახებ თხოვნაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შეუძლია გადადოს შესაბამისი პირის გადაცემა, თუ გადასაცემა პირის წინააღმდეგ შესაძლებელია სამართალწარმოების დაწყება ამ მხარის მიერ, ან თუ მის წინააღმდეგ უკვე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, რაც შესაძლებელს ხდის, რომ

მან ამ მხარის ტერიტორიაზე მოიხალოს სასჯელი სხვა დანაშაულის ჩადენისათვის, მის გარდა, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება მისი გადაცემა.

2. თხოვნის მიმღებ მხარეს, გადაცემის გადაღების ნაცვლად, შეუძლია ღროებით გადასცეს შესაბამისი პირი თხოვნის გამგზავნ მხარეს მხარეებს შორის დადებული ორმხრივი შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

მუხლი 20 – ქონების გადაცემა

1. თხოვნის მიმღები მხარე მისი სამართლით დაშვებულ ფარგლებში და მიმღები მხარის თხოვნით საფუძველზე მოახდენს ქონების ჩამორთმევას და გადასცემს მას იმ ქონებას:

a) რომელიც მოითხოვება, როგორც დამამტკიცებელი საბუთი, ან

b) რომელიც მოპოვებული იქნა დანაშაულის ჩადენის შედეგად და რომელიც დაპატიმრების დროს ნაპოვნი იქნა შესაბამისი პირის მფლობელობაში ან შემდგომში იქნა აღმოჩენილი.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით მოხსენებული ქონება გადაიცემა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეთანხმებული ექსტრადიცია არ შეიძლება განხორციელდეს მსჯავრდებული პირის გარდაცვალების ან გაქცევის გამო.

3. როდესაც გემოხსენებული ქონება ექვემდებარება ჩამორთმევას ან კონფისკაციას თხოვნის მიმღები მხარის ტერიტორიაზე, ამ უკანასკნელს მომავალ სისხლის სამართალწარმებასთან დაკავშირებით შეუძლია ღროებით შეინარჩუნოს ან გადასცეს იგი იმ პირობით, რომ ეს ქონება დაბრუნდება.

4. ნებისმიერი უფლება, რომელიც გააჩნიათ გადამცემ მხარეს ან მესამე მხარეებს გემოთ მოხსენებული ქონების მიმართ, დაცული იქნება. ამ უფლებების არსებობის შემთხვევაში, ქონება ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე უბრუნდება თხოვნის მიმღებ მხარეს რაც შეიძლება სწრაფად სასამართლოს დამთავრებიდან.

მუხლი 21 – გრანზიტი

1. ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე დამნაშავეთა გრანზიტული გადაყვანის უფლება ვაიცემა მე 12 - მუხლს 1-ლ პუნქტით მოხსენებული საშუალებებით სათანადო თხოვნის წარდგენის შემთხვევაში, იმ პირობით, რომ შესაბამისი დანაშაული იმ მხარის მიერ, რომელსაც სთხოვენ დამნაშავეს მის ტერიტორიაზე გავლით გადაყვანის უფლებას, არ განიხილება პოლიტიკურ ან წმინდა სამხედრო ხასიათის დანაშაულად ამ კონვენციის მე -3 და მე-4 მუხლების შესაბამისად.

2. იმ მხარეს, რომელსაც სთხოვენ დამნაშავეს მისი ტერიტორიის გავლით გადაყვანის უფლებას, შეუძლია უარი თქვას თავისი მოქალაქის გრანზიტული გადაყვანის უფლების მიცემაზე მე - 6 მუხლის დებულებათა შესაბამისად.

3. ამ მუხლს მე-4 პუნქტის დებულებების დაცვით, აუცილებელია მე -12 მუხლის მე -2 პუნქტში მოხსენებული დოკუმენტების წარმოდგენა.

4. საჰაერო გრანსპორტის გამოყენების შემთხვევაში, გამოიყენება შემდეგი დებულებები:

a) თუ ვათვალისწინებული არ არის საჰაერო ტრანსპორტის დაჯდომა, თხოვნის გამგზავნი მხარე შეაგყობინებს იმ მხარეს, რომლის ტერიტორიის გავლითაც უნდა განხორციელდეს რეისი და დაადასტურებს, რომ მე -12 მუხლის მე -2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტებიდან ერთ-ერთი არსებობს. გაუთვალისწინებელი დაჯდომის შემთხვევაში, ამგვარ შეგყობინებას ექნება მე -16 მუხლით განსაზღვრული წინასწარი

დაპატიმრების შესახებ თხოვნის ძალა და თხოვნის გამგზავნი მხარე წარმოადგენს ფორმალურ თხოვნას გრანზიგული გადაყვანის შესახებ.

b) როდესაც იგი აპირებს დაჯდომას, მთხოვნელი მხარე წარმოადგენს ფორმალურ თხოვნას გრანზიგული გადაყვანის თაობაზე.

5. ამასთან, მხარეს, ხელმოწერის ან სარაგიფიკაციო ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი მისცემს პირის გრანზიგული გადაყვანის უფლებას მხოლოდ რამოდენიმე ან ყველა პირობაზე, რაზეც იგი ახორციელებს ექსტრადიციას. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია გამოყენებული იქნას ორმხრივობის წესი.

6. გადაცემული პირის გრანზიგული გადაყვანა არ განხორციელდება იმ ტერიტორიებზე, სადაც არსებობს მიზეზი ფიქრისა, რომ მისი სიცოცხლე ან თავისუფლება საფრთხის ქვეშ იქნა მისი რასის, რელიგიის, ეროვნების ან პოლიტიკური მოსაზრების გამო.

მუხლი 22 – პროცედურა

იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ეს კონვენცია სხვაგვარად განსაზღვრავს, ექსტრადიციისა და წინასწარი დაპატიმრების პროცედურა განისაზღვრება თხოვნის მიმღები მხარის კანონით.

მუხლი 23 – გამოსაყენებელი ენა

დოკუმენტები, რომელთა წარმოებაც უნდა მოხდეს, შედგენილი იქნება თხოვნის გამგზავნი ან მიმღები მხარის ენაზე. გადამცემ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მათი თარგმანი მისი არჩევით ევროპის საბჭოს რომელიმე ოფიციალურ ენაზე.

მუხლი 24 – ხარჯები

1. გადამცემი მხარის ტერიტორიაზე გაწეული ექსტრადიციასთან დაკავშირებული ხარჯები, თუკი მათი გაწევა მოხდა ამ მხარის მიზეზით, დაიფარება თხოვნის მიმღები მხარის მიერ.

2. ხარჯები, რომელთა გაწევა მოხდა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე გრანზიგის დროს, რომელსაც სთხოვეს მის ტერიტორიაზე პირის გრანზიგული გადაყვანის უფლება, დაიფარება თხოვნის გამგზავნი მხარის მიერ.

3. გადამცემი მხარის არამეგროპოლიური ტერიტორიიდან ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში, ხარჯები, რომელთა გაწევა მოხდა ამ ტერიტორიიდან თხოვნის გამგზავნი მხარის მეგროპოლიურ ტერიტორიაზე მგზავრობის დროს, დაფარული იქნება თხოვნის გამგზავნი მხარის მიერ. იგივე წესი გამოიყენება იმ ხარჯების მიმართ, რომელთა გაწევა მოხდება თხოვნის მიმღები მხარის არამეგროპოლიური ტერიტორიიდან მის მეგროპოლიურ ტერიტორიაზე მგზავრობისას.

მუხლი 25 – „დაკავების ორდერის“ განსაზღვრება

ამ კონვენციის მიხედვით, გამოთქმა – „დაკავების ორდერი“ გულისხმობს სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ მიღებულ ნებისმიერ ორდერს, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას დამატებით ან ნაცვლად იმ განაჩენისა, რომელიც ითვალისწინებს პირის პატიმრობას.

მუხლი 26 – დათქმები

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, ამ კონვენციის ხელმოწერის ან სარატიფიკაციო ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს შეუძლია გააკეთოს დათქმა ამ კონვენციის ნებისმიერი დებულების მიმართ.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც გააკეთებს დათქმას, უკან გამოიგანს მას როგორც კი გარემოებები მას ამის საშუალებას მისცემენ. ამგვარი გამოთხოვა განხორციელდება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეგყობინების გაგზავნის გზით.

3. ხელშემკვრელ მხარეს, რომელმაც გააკეთა დათქმა ამ კონვენციის დებულების მიმართ, არ შეუძლია მოსთხოვოს სხვა მხარეს შესაბამისი დებულების გამოყენება, იმ ბომაზე მეტად, რითაც მას თავად აქვს მიღებული ეს დებულება.

მუხლი 27 გერიგორიული გამოყენება

1. ეს კონვენცია გამოიყენება ხელშემკვრელი მხარეების მეტროპოლური გერიგორიების მიმართ.

2. საფრანგეთის გათვალისწინებით, იგი გამოიყენება ალჟირისა და ოკეანეთის დეპარტამენტების მიმართ. ხოლო გაერთიანებული სამეფოსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გათვალისწინებით, ნორმანდიის კუნძულებისა და მენის კუნძულის მიმართ.

3. გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ შეიძლება გაავრცელოს ამ კონვენციის გამოქვეყნება ბერლინზე ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეგყობინების გაგზავნის გზით, რომელიც თავის მხრივ აცნობებს სხვა მხარეებს ამგვარი დეკლარაციის შესახებ.

4. ორ ან მეტ ხელშემკვრელ მხარეს შორის შეთანხმების დადების გზით, ამ კონვენციის გამოყენება შეიძლება გავრცელდეს შეთანხმებაში გათვალისწინებული პირობების დაცვით. ამ მხარეთა ნებისმიერ სხვა გერიგორიაზე ამ მუხლის 1-ლ, მე – 2 და მე – 3 პუნქტებში მოხსენებული გერიგორიების გარდა, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ისინი პასუხისმგებელი არიან.

მუხლი 28 – ურთიერთობა ამ კონვენციასა და ორმხრივ ხელშეკრულებებს შორის

1. ამ კონვენციას, იმ ქვეყნებში, რომელთა მიმართაც იგი გამოიყენება, ენიჭება უპირატესი ძალა ორმხრივი ხელშეკრულებების, კონვენციების ან შეთანხმებების დებულებებზე, რომლებითაც რეგულირდება ექსტრადიციის საკითხები ნებისმიერ ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის.

2. ხელშემკვრელ მხარეებს ერთმანეთს შორის შეუძლიათ დადონ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები, მხოლოდ იმ მიზნით, რომ შეავსონ ამ კონვენციის დებულებები ან ხელი შეუწყონ მასში განსაზღვრული პრინციპების გამოყენებას.

3. იქ, სადაც, ორ ან მეტ ხელშემკვრელ მხარეს შორის ექსტრადიციის განხორციელება ხდება ერთგვაროვანი კანონის საფუძველზე, მხარეებს შეუძლია ექსტრადიციის საკითხებთან დაკავშირებული ორმხრივი ურთიერთობების რეგულირება ამდგარი სისტემის შესაბამისად ამ კონვენციის დებულებების მიუხედავად. იგივე პრინციპი გამოიყენება ორ ან მეტ ხელშემკვრელ მხარეს შორის, როდესაც თითოეულ მათგანში ძალაშია კანონი, რომლის მიხედვითაც, ხდება ამ მხარეთა მიერ გაცემული დაპატიმრების ორდერების აღსრულება მის გერიგორიაზე. ხელშემკვრელი მხარეები, რომლებიც გამორიცხავენ ან შეიძლება შემდგომში გამორიცხონ ამ კონვენციის გამოყენება

ერთმანეთთან მიმართებაში ამ პუნქტის შესაბამისად, სათანადოდ აცნობებენ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ამის შესახებ. გენერალური მდივანი აცნობებს სხვა ხელშემკვრელ მხარეებს ამ პუნქტის შესაბამისად მიღებული ყველა შეცვობინების შესახებ.

მუხლი 29 – ხელმოწერა, რატიფიკაცია და ძალაში შესვლა

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრებისათვის. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

2. კონვენცია ძალაში შედის მესამე სარატიფიკაციო სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან 90 დღის შემდეგ.

3. ნებისმიერი სხვა ხელმოწერის მიმართ, რომელიც შემდგომში მოახდენს რატიფიცირებას, კონვენცია ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო სიგელის ჩაბარების თარიღიდან 90 დღის შემდეგ.

მუხლი 30 – მიერთება

1. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მიიწვიოს ევროპის საბჭოს ნებისმიერი არაწევრი სახელმწიფო მიუერთდეს ამ კონვენციას, იმ პირობით, რომ გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს ამგვარ მიწვევას, მიღებული უნდა იყოს საბჭოს იმ წევრთა ხმების ერთსულვნებით, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება.

2. მიერთების სიგელი შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს და მიერთება ძალაში შედის მისი შესანახად ჩაბარების თარიღიდან 90 დღის შემდეგ.

მუხლი 31 – დენონსაცია

ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეცვობინების გაგზავნის გზით. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეცვობინების მიღების თარიღიდან 6 თვის შემდეგ.

მუხლი 32 - შეცვობინებები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს წევრებს და ყველა იმ სახელმწიფოს მთავრობას, რომელიც მიუერთდება ამ კონვენციას, აცნობებს:

a) ნებისმიერი სარატიფიკაციო ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;

b) ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;

c) მე –6 მუხლის 1-ლი პუნქტის და 21 – ე მუხლის მე –5 პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაციის შესახებ;

d) 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დათქმის შესახებ;

e) 26-ე მუხლის მე –2 პუნქტის შესაბამისად ნებისმიერი დათქმის უკან გამოთხოვის შესახებ;

f) 31- ე მუხლის დებულებების შესაბამისად დენონსაციის შესახებ შეცვობინების მიღებისა და ამ დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმოწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია პარიზში 1957 წლის დეკემბრის მე -13 დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე; ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტიკური. შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს თითოეულ ხელმოწერ მთავრობას.